



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო  
ინსტიტუტი  
თურქოლოგიის კათედრა

**აკადემიკოს სერგი ჯიქიას დაბადებიდან  
120 წლისთავისადმი მიძღვნილი  
სამეცნიერო კონფერენციის  
პროგრამა და თეზისები**

24-25 დეკემბერი

თბილისი

2018

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი მარიკა ჯიქია

ასოც. პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

დოქტორანტი აკაკი ჩიქობავა

დოქტორანტი ივანე მჭედელაძე

მობსენება პლენარულ სხდომაზე – 20 წუთი

მობსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დუსკუსია – 3 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

## 24 დეკემბერი

09<sup>30</sup>-10<sup>00</sup>

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია  
ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია

10<sup>00</sup>-11<sup>30</sup>

### კონფერენციის გახსნა – მისალმებები

გიორგი შარვაშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ნანა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

თამაზ გამყრელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი

დოკუმენტური ფილმის – „ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის პატრიარქი“ –  
ჩვენება

### პლენარული სხდომა

ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია

სხდომის თავმჯდომარე – პროფესორი გოჩა ჯაფარიძე

ცისანა აბულაძე

კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი  
სერგი ჯიქიას ცხოვრება და მოღვაწეობა

მერაბ ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აწყური და მისი შემოგარენი XVI საუკუნის ბოლოს

11<sup>30</sup> – 12<sup>00</sup>

აკადემიკოს სერგი ჯიქიასადმი მიძღვნილი  
გამოფენის გახსნა

12<sup>00</sup> – 13<sup>00</sup>

შესვენება

## 24 დეკემბერი

13<sup>00</sup> – 15<sup>30</sup>

### I სხდომა

სხდომის თავმჯდომარე – პროფესორი მარიკა ჯიქია  
ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია

#### იზა ჩანტლაძე

*თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი*  
მესხეთის ანარეკლი სვანეთში

#### თინა იველაშვილი

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
აკადემიკოსი სერგი ჯიქია და ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი

#### ლევან ფაჩულია

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
თურქულის გავლენის კვალი მეგრულში

#### როინ ყავრელიშვილი

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
წიგნი „არტაანი ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში“, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო

#### ემზარ მაკარაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
თურქეთის საგარეო პოლიტიკის ასპექტები და „თურანიზმის“ საკითხი

#### მზისა ბუსკივაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
დროის გააზრების საკითხი აჰმედ ჰამდი თანფინარის რომანში „დროის ინსტიტუტი“

#### ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
ფრანგულენოვან საინტერნეტო მეტსახელთა (ნიკთა, ნიკნეიმთა) წარმოქმნის მოდელები

15<sup>30</sup> – 16<sup>00</sup>

ხემსი

## 24 დეკემბერი

16<sup>00</sup> – 18<sup>30</sup>

### II სხდომა

სხდომის თავმჯდომარე – პროფესორი ცირა ბარამიძე  
ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია

#### იგორ კეკელია

*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

აფხაზეთის სამი ტოპონიმის გააზრებისათვის (კინდლი, რეფი, ჯამღვარღვალში)

#### ელენე გიუნაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

სარმატული საკუთარი სახელების კვლევის საკითხები ანტიკური საქართველოს ეპიგრაფიკულ ძეგლებში

#### ცირა ბარამიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

„თავის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ქართველურ ენებში

#### ნესტან სულავა

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

წმ. გიორგი შიყენებულის მოღვაწეობის შესახებ (წყაროთმცოდნეობითი კვლევა)

#### ემზარ კახიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ადრე შუასაუკუნეების საქართველო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის: ცივილიზაციურ-კულტურული არჩევანი

#### მურმან პაპაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

დღემდე უცნობი წყარო ერეკლე I-ის ერთი დიპლომატიური აქტის შესახებ

#### თამარ ალფენიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

აშიკ ფაშას „ყარიბ-ნამე“

#### მადონა გოგიტიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ახლო აღმოსავლეთის რეგიონალური პოლიტიკის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე

## 25 დეკემბერი

10<sup>30</sup> - 13<sup>00</sup>

### III სხდომა

სხდომის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი მარიამ ჩაჩიბაია  
ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 212-ე აუდიტორია

#### ნინო ეჯიბაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
„ამორფული“ ხა არაბულში (წინასწარი შენიშვნები)

#### მარინე ივანიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
აკადემიკოს სერგი ჯიქიას ეტიმოლოგიური ძიებები

#### მარიამ ჩაჩიბაია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
სირიულენოვანი ქრისტიანები და ისლამი

#### ნიკოლოზ ოთინაშვილი

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*  
დიალექტთა შერევის პროცესები ფრონეს ხეობაში

#### ნანა გელაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
იაპონიის პოლიტიკური კურსის პრიორიტეტები ტოკუგავას ეპოქაში (1603-1867)

#### ქეთევან გოდერძიშვილი

ტოპონიმთა ლექსიკონის მეთოდოლოგიისთვის

#### მარინე ფუთურიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
სამხრეთკავკასიურ-ანატოლიური კავშირები ძვ.წ. II ათასწლეულში:  
შემთხვევით აღმოჩენილი ლითონწარმოების ნიმუშები ჭოროხის აუზიდან

#### მარიკა ჯიქია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
წიმწითელი და სხვა

## თამარ ალფენიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### აშიკ ფაშას „ყარიბ-ნამე“

XIV საუკუნის ბრწყინვალე სუფი პოეტი, აშიკ ფაშა და მისი პოეზია კარგად არის ცნობილი აღმოსავლეთმცოდნეებისთვის. მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები – „ყარიბ-ნამე“ 10.613 ბეითისგან შედგება და დაიწერა 1330 წელს (ჰიჯრით 730წ.). შუა საუკუნეების პოეზიის წესის შესაბამისად, ნაწარმოები იწყება სპარსულად დაწერილი შესავლით, რასაც მოჰყვება ღმერთის, მოციქულისა და ოთხი ხალიფას ხსენება და დიდება – ანუ, იმ ბურჯისა, რაზეც დგას ისლამი, ანუ იმ დიდებისა, რაც იხილა ისლამმა ოსმალეთის იმპერიის შექმნით და დიდებით. თურქ ხალხს თავისი მესიანისტური ხედვა აქვთ ერთან მიმართებაში – ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა და ისლამის დროშის აღმართვა ამ ხალხში ღვთის ნებად არის მიჩნეული. ისინი თვლიან, რომ არაბულ სამყაროში ჭეშმარიტი რელიგიისა და ყურანის ამ ენაზე შექმნის შემდეგ ალაჰმა სწორედ თურქები შერაცხა თავის ჯარისკაცებად, რომელთაც ქრისტიანობის ცენტრი უნდა დაემხოთ. აშიკ ფაშას პოეზიაში უცებ თავს იჩენს ეს პოლიტიკური ნების გამომხატველი ნაწარმოები. შესავალს მოჰყვება სელჩუკთა მმართველობის დამხობასა და ოსმალების გამარჯვების დიდებაზე მსჯელობა. ბუნებრივია, პოეტს ამ, ჩემი აზრით, პოლიტიკურ დაკვეთაში სხვა რა უნდა ეხსენებინა, თუ არა თურქული ენის ქება-დიდება, რასაც პოეტი თავისი ნაწარმოებით ამტკიცებს. თურქი მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „ყარიბ-ნამე“ არის გამორჩეული ნაწარმოები სწორედ ამ ნიშნით – თურქული ენა ისევეა პოეზიის ენა, როგორც სპარსული, რომელიც სელჩუკების დროს იქნა შემოღებული. პოეტი თავის მესწვეფიში გადმოგვცემს 550-მდე საკითხს, რაც, ჩემი აზრით, არის განაცხადი – ესაა ქუდათგუ ბილიგის (წიგნი ბედნიერების შესახებ, XI ს.) დონის წიგნის – წიგნი იმაზე, როგორი უნდა იყოს ზე-სახელწიფო, რომელიც ალაჰის ნებით უნდა შედგეს. ეს საკითხებია: ამქვეყნიურობა და იმქვეყნიურობა (Mülk-Melekût), ზეცა და ხმელეთი (Zehir

ve Batın), ღვთაება და ეშმაკი, ამქვეყნიური და იმქვეყნიური სიყვარული, ხილული, უხილავი, მსჯელობა ამპარტავენებაზე, პილიგრიმი (Salik), მანძილი (Menzil), საფეხურები (Mertebeler), სიკეთე, სიბრძნე და სხვ.

## ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ფრანგულენოვან საინტერნეტო მითსახელთა (ნიკთა, ნიკნეიმთა) წარმოქმნის მოძღვრება**

მეტსახელთა (ნიკების, ნიკნეიმების) გამოყენება განსაკუთრებულ სახელთა სახით, რომლებიც არ ემთხვევა ოფიციალურ სახელებს, აუცილებელია საინტერნეტო ქსელში ურთიერთობისათვის – ჩატებში, ფორუმებსა და ბლოგებში. ანალოგიური მოვლენის განსასაზღვრად, ფრანგული ანთროპონიკური სისტემა იყენებს ცნებას pseudonyme sur Internet („ფსევდონიმი ინტერნეტში“). მეტსახელთა ფუნქციონირების ძირითად თავისებურებებს შორის, აუცილებელია აღვნიშნოთ მათი გამოყენების მასობრივი ხასიათი. ინტერნეტ – ენის მეტსახელთა ევოლუციის წარმოსადგენად, მატსახელები (ნიკნეიმები) შესაძლებელია განვიხილოთ და შევისწავლოთ მათი წარმოქმნის თვალსაზრისით. ფრანგულენოვან საიტებზე გამოყენებული ნიკნეიმების ანალიზმა, საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მათი წარმოების შემდეგი ხერხები: აფიქსაცია (პრეფიქსაცია, სუფიქსაცია), ფუძეთა თხზვა, აბრევიაცია, რედუპლიკაცია, ტელესკოპირება, ნასესხობა, გრაფიკული ხერხები. შერჩეულ ნიკნეიმთა ხარისხობრივი ანალიზის შედეგად, დასკვნები ასეთია: 1. ფრანგულენოვან ფორუმებში, ნიკნეიმთა წარმოების ყველაზე პროდუქტიული ხერხია გრაფიკული ხერხი (ყველა მაგალითიდან – 30%). 2. პროდუქტიულობის ხარისხის მიხედვით, მეორე ადგილს იკავებს ფუძეთა თხზვა (ყველა მაგალითიდან – 19%). 3. პროდუქტიულობის მიხედვით, მესამე ადგილზეა პრეფიქსაცია (ყველა მაგალითიდან – 15%). 4. სიტყვაწარმოების სხვა ხერხები (სუფიქსაცია, რედუპლიკაცია, ტელესკოპირება, აბრევიაცია, ნასესხობები) ნაკლებად პროდუქტიულებად ითვლება.



## ცირა ბარამიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### „თავის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ქართველურ ენებში

მოხსენებაში გაანალიზებულია „თავის“ აღმნიშვნელი ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები ქართველურ ენებში (ქართ. თავ-ი, ზან. თ-ი, სვან. დოშდულ; საერთოქართველური ძირ-ფუძე უნდა იყოს \*თ-; ზან. თ-ურ-ი სხვისიანი, სხვისი თავისა“ მეგრ. შხვამ თური, გვარ-ი ჭანტურია < ჭან- თურ-ი < ჭანის თავისა (შდრ. ჭან-ი-შვილი), მეგრ. თია < თი-ა „სათავისო“, „შენი ლუკმა, კუთვნილი“ (ეს ერთეულები უკავშირდება მეგრ. თი-ს „თავს“).

ჭან. თ-ი- „თავი“ : მეგრ. თუ-ში (?) „ურმის კავები“ : ქართ. თავ-ი<sup>1</sup> დაკავშირებით, არნ. ჩიქობავა ქართულში ძირეულ თანხმოდანად მიიჩნევს თ-ს; ავ ფუძის დეტერმინანტ სუფიქსადაა მიჩნეული (შდრ.: მკლ-ავ-ი, ტყ-ავ-ი...). ჭანურში ეს სუფიქსი არ ჩანს. აქ მის ადგილას ვაუ შეიძლება გვექნოდან; მაშინ თი-ს ბოლოკიდური -ი უ-საგან მიღებული იქნებოდა და ფუძისათვის უნდა განგვეკუთვნებინა (ისტორიულად)<sup>2</sup>.

ქართული თ-ავ-ი საერთოქართველური ძირ-ფუძეა მეგრ. თი და სვან. დოშდულ შესატყვისობებით. საერთოქართველურ ძირად შეიძლება მივიჩნიოთ \*თ-.

ლექსემა თავ-ის შემანტიკა შეაპირობებს იმას, რომ ამ ძირთან არის დაკავშირებული და მისგან არის მიღებული ნაცვალსახელები ქართველურ ენებში: ქართ. თავის-ი (უკუქცევითი ნაცვალსახელი); მეგრ. ათენა//თენა//თე „ეს“ ჩვენებითი ნაცვალსახელი.

თავის აღსანიშნავად ზანურში არის კიდევ ერთი ლექსიკური ერთეული დუდ-ი, რომლის ფორმაწარმოება და სიტყვაწარმოება ისევე მრავალფეროვანია, როგორც ქართული თავ-ისა (მაგალითად, მეგრ. ჯვარულის თქმა - დუდელია//ჯუჯელია (ი. ყიფშიძე); შდრ. ქართ. თავთავ-ი - ხორბალი ( ქართ. დ : ზან. დ > ჯ).

მეგრ. დუდ-ის არა აქვს შესატყვისი ქართულში (უნდა ყოფილიყო \*დუდ-ი; არსებობდა თუ არა და რას ნიშნავდა, უცნობია. თუ არსებობდა

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, შრომები, ტ. IV, 2008, გვ. 61.

<sup>2</sup> იქვე, გვ.62.

ქართულსა და მის დიალექტებში მოსალოდნელი იყო ზანურის მსგავსად დუდ ძირიანი სათანადო ფუძე. ქართველურ ენებში ამოსავალ ვითარებაში შესაძლებელია ყოფილიყო სემანტიკური და ფორმოზოგი დიფერენციაცია - თავი: 1. ადამიანის თავი, 2. რაღაცის თავი.

მოხსენებაში გაანალიზებულია ქართველური ენებისა და დიალექტების ემპირიული მასალა და ამის საფუძველზე მოცემულია მცდელობა, აიხსნას „თავის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულისათვის ორი ლექსიკური ერთეულის არსებობის სემანტიკურ-ეტიმოლოგიური საფუძველი.

## მერაბ ბერიძე

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### ანჟური და მისი შემოგარენი XVI საუკუნის ბოლოს

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, აწყური ახალციხის ლივაში ნაპიეს ცენტრია. ნაპიე რაიონს გულისხმობს, ამიტომაც არის, რომ „დავთრის“ გამომცემელი ს. ჯიქია მე-2 წიგნში „რაიონს“ ხმარობს, ხოლო მე-3-ში – „ნაპიეს“. ოსმალეთი იყენებდა ქართული ადმინისტრაციული დაყოფის ტრადიციას, ამიტომ რაიონების (ნაპიეების) ცენტრები ცნობილ გეოგრაფიულ პუნქტებში იყო განთავსებული, სადაც ციხე-სიმაგრეები და რაბათები იგულისხმებოდა.

აწყური კეტავდა ხეობას, რომელსაც, ვიდრე მას ბორჯომის ხეობა ეწოდებოდა, ერქვა აწყურის (აწყვრის) ხეობა. რაიონში შედიოდა 61 გეოგრაფიული პუნქტი, რომელთაგან დღევანდლამდე მოაღწია 20-მა გეოგრაფიულმა პუნქტმა.

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით აწყურის რაიონის სოფლები შედის ბორჯომისა და ახალციხის მუნიციპალიტეტში. ბორჯომი, როგორც დასახლებული პუნქტი, არ არის დასახელებული, ჯერ კიდევ არ არსებობდა ბორჯომი იმ ადგილზე, სადაც დღეს არის. იგი აღწერილია ახალციხის შემოგარენში.

ტოპონიმთა ერთი ნაწილი არ არის ამოკითხული, ზოგი მათგანის წაკითხვას კითხვის ნიშანი უზის.

სოფელთა სახელწოდებანი მხოლოდ ქართული ენის საფუძველზე შეიძლება აიხსნას. მაგალითად: აწყური, ორფოლა, ხიდეთი, გელათუბანი, კვირიკეწმინდა, კოპეთი, ტყემლანა, საყუნეთი, აგარა, დგვარი, ტამრისი,

ზედუბანი, მოქცევი, საკვირიკე, წნისი, ბადელა, ურწყავი, ზღუდერი, წინუბანი, გიორგიწმინდა, გურკელი, ტბეთი, ბოსელთა, ზორეთი (ზოვრეთი), ქვაბისხევი, ლეკნარის რაბათი, საზარე, თევდორეთუბანი, ტყისი და სხვა.

უკვე გაჩენილა ოსმალთა მიერ დარქმეული ან თარგმნილი სახელი ყარაყუზი.

## მზისა ბუსკივაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **დროის გააზრების საკითხი აჰმედ ჰამდი თანფინარის რომანში „დროის ინსტიტუტი“**

საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები, ერის პროგრესისა თუ რეგრესის საკითხი მნიშვნელოვან ასახვას პოეზებს ლიტერატურაში. მწერლები სხვადასხვა გზით ცდილობენ საზოგადოების წინაშე არსებული საკითხების გაანალიზებას. მე-20 საუკუნე არა მხოლოდ თურქული ლიტერატურისათვის, არამედ, ზოგადად, სხვა ქვეყნების ლიტერატურისათვის რთული და სკეპტიციზმით სავსე საუკუნეა. აღნიშნული პერიოდის თურქულ ლიტერატურაში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები იჩენს თავს, როგორებიცაა: ეროვნული თვითშეგნება, გაუცხოება, ტრადიციებისა და კულტურისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება და სხვა.

აჰმედ ჰამდი თანფინარის შემოქმედება მკვეთრი ფერებით ასახავს თურქული საზოგადოების ცხოვრებისა და აზროვნების წესს. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რომანზე „დროის ინსტიტუტი“. აღნიშნულ რომანში ისტორიული პროცესები და ამ პროცესების შესაბამისად საზოგადოების აზროვნების განვითარების საკითხი საკმაოდ საინტერესო ტექნიკით არის წარმოდგენილი. ერთი მხრივ, ჩვენ ვხვდებით პაროდის ტექნიკას, მეორე მხრივ – გროტესკულ აბსურდსაც.

რომანში ასახული ისტორიული დრო ოსმალეთის პერიოდიდან იწყება და რესპუბლიკის პერიოდით სრულდება. აღნიშნულ ისტორიულ დროში მცხოვრები ადამიანები დროის ცვლილებას ვერ აცნობიერებენ და რეალური სამყაროს ნაცვლად ირეალურ სამყაროში ცხოვრობენ. მათთვის რთულია „ახალი დროის“ ახალ იდეებთან შეგუება. პროტაგონისტების დამოკიდებულება ყოფისადმი სხვადასხვა ეპოქის სიმბოლური გამოხტუ-

ლებას წარმოადგენს. რომანში თავს იჩენს ბინარული წყვილები – რელიგია და მეცნიერება, ტრადიციულობა და მოდერნიზმი. სხვა კულტურასთან ზიარების მცდარი შედეგები ფსევდოგანათლებაში, ფსევდოპატრიოტიზმში, ფსევდოოჯახსა თუ სიყვარულში ვლინდება.

რომანის პროტაგონისტებისათვის დრო ტრადიციას და მოდერნიზმთან ასოცირდება. ოღონდ არ ხდება მათი შეჯერება. ეს კი საზოგადოების კარნავალურ ყოფას იწვევს, რომელსაც თან პაროდული სიცილიც ახლავს. აღნიშნულ სიცილს კი, განახლების ფუნქცია დაკარგული აქვს. რომანში მწერალი დროის საგნობრივ გამოსახულებას საათებით გვაწვდის. დროის ინსტიტუტის ფუნქცია, სწორედ ჩამორჩენილი საათების გასწორებაა. რომანის მთავარი, გმირის აზრით, დროის გამგებელი თავად ადამიანია, დრო ადამიანის გარეშე არ არსებობს.

## ნანა გელაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **იაპონიის პოლიტიკური კურსის პრიორიტეტები ტოკუგავას ეპოქაში (1603–1867)**

იაპონიის ისტორიაში გამორჩეულად საინტერესო და მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს ტოკუგავას დინასტიის მმართველობის ხანა (1603–1867). ეს იყო შიოგუნატის ანუ სამხედრო-ფეოდალური მმართველობის რიგით მესამე და უკანასკნელი დინასტია, რომლის ძირითად საყრდენ ძალას სამურაების სამხედრო ფენა წარმოადგენდა. ახალი დინასტიის ფუძემდებელი იყო ხსენებული საგვარეულოს ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი ტოკუგავა იეიასუ, რომელმაც ახალი პოლიტიკური კურსის განხორციელება დაიწყო ქვეყანაში. ტოკუგავას დინასტიის მმართველობის უმთავრეს პრიორიტეტებს წარმოადგენდა იმპერატორის ჩამოშორება პოლიტიკური საქმეებისგან და დასავლური სამყაროსგან ქვეყნის იზოლაცია, რაც შემდეგი ფაქტორებით იყო განპირობებული: ევროპის დიდი სახელმწიფოების მხრიდან პოლიტიკური ექსპანსიის საფრთხე, რაც პერსპექტივაში დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაკარგვას მოასწავებდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის იდეოლოგიური საფუძვლების – შინტოიზმისა და ბუდიზმის ეროზიის რეალური საშიშროება, ქრისტიანობის სწრაფად გავრცელების გამო. თვითიზოლაციის პროცესი იაპონიიდან

კათოლიკე მისიონერთა განდევნით დაიწყო, რომლებიც ახლად მოქცეული სამწყსოს მანიპულირებით, დაუფარავად ერეოდნენ იაპონიის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამით ისინი ხელს უწყობდნენ ქვეყანაში სეპარატისტული ტენდენციების და რელიგიური შუღლის გაღვივებას.

იაპონიის ხელისუფლების მიერ აღებულ თვითიზოლაციის კურსში შესაძლებელია სამი მთავარი ეტაპი გამოვყოთ: გარე სამყაროსგან იზოლაციის დასაწყისი 1639 წლიდან, მკაცრი საშინაო პოლიტიკა მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა და იზოლაციონიზმის თანდათან შესუსტება, რაც საბოლოოდ აშშ-ს მიერ ქვეყნის ძალდატანებით გახსნით დაგვირგვინდა 1854 წელს. ამ დროიდან მოყოლებული, იაპონია დასავლური განვითარების გზას დაადგა, ყველა თანმდევი კომპონენტებით, რომლის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა 1867/1868 წწ. ბურჟუაზიული რევოლუცია და ტოკუგავას შიოგუნატის დამხობა. ამიერიდან იაპონიაში აღდგენილ იქნა იმპერატორის ერთპიროვნული მმართველობა.

## ელენე გიუნაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **სარმატული საკუთარი სახელების კვლევის საკითხები ანტიკური საქართველოს ეპიგრაფიკულ ძეგლებში**

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მონაცემები მოწმობს, რომ ქრისტიანობამდელ საქართველოს ჰქონდა მჭიდრო კონტაქტები ისლამამდელ ირანთან. იბერიასა და კოლხეთში ირანული სულიერი და მატერიალური კულტურის გავრცელების სათავეები ჯერ კიდევ აქემენიანთა ეპოქაში უნდა ვეძიოთ, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ირანულ სახელმწიფოებრიობასა და ეროვნულ თვითმყოფადობას.

ირანულ-ქართული ურთიერთობები უფრო ინტენსიურ სახეს იღებს მომდევნო, ელინისტურ პერიოდში.

ამ ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეულია მრავალრიცხოვანი ნუმისმატური მასალა, არქეოლოგიური კომპლექსები.

ირანულ კულტურული გავლენა ჯეროვნად აისახა ქართველურ ენებში. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ძველი ირანული საკუთარი სახელები, რომლებიც ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ ეპიგრა-

ფიკულ ძეგლებში, აღმოსავლეთ საქართველოს არამეულსა და ბერძნულ წარწერებშია გამოვლენილი. მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი სარმატულია (შარაგასი, ასპარუკი, იოდმანგანი, ფარსმანი, ზევახი, ქმე-ფარნუგი და სხვ.) და ასახავს იმ უძველეს კონტაქტებს, რომლებიც ქართველურ ტომებს ჰქონდათ სკვითურ-სარმატული მოდგმის ხალხებთან.

საქართველოს შავიზღვისპირეთის რეგიონში აღმოჩენილია მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ირანული გავლენის მაჩვენებელია.

ძვ. წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ ვანის ნაქალაქარის ადგილობრივი წარმოების დამღებზე დასტურდება ბერძნული ფორმები სარმატული სახელებისა – Ὀρ ζი და Χορ ι .

სვანურ წერილობით ძეგლებში უხდად დასტურდება სარმატული წარმოშობის საკუთარი სახელები, რომელთა შესატყვისობები ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნულ წარწერებშია გამოვლენილი (შდრ. სვან. ვერზმეგ < ირან. ვარჰზა „ტახი“, შდრ. ვანის წარწერის Ὀρ ζი, ქართული ვარაზი).

## მადონა გოგითიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ახლო აღმოსავლეთის რეგიონალური პოლიტიკის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე**

ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთი რთული და საინტერესო რეგიონია მსოფლიოში როგორც პოლიტიკურ-გეოგრაფიული, ასევე სოციალურ-ეკონომიური და კულტურული თავისებურებების კუთხით. ამ რეგიონის მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო იზრდება.

რეგიონის განვითარებაზე ასახავს პოვეზს საკმაოდ დიფერენცირებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ლინგვისტური, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული გარემო. აღნიშნული განსხვავებები რეგიონში არაერთგვაროვნად ყალიბდებოდა. შესაბამისად, აღმოსავლეთის პრობლემის ცნების განსაზღვრაც განსხვავებული იყო. მაგალითად, თუ XIX საუკუნის ბოლოს „აღმოსავლეთის საკითხი“ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულ პრობლემებს ეხებოდა, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტით განისაზღვრა, ცოტა მოგვი-

ანებით ისრაელისა და არაბული ქვეყნების დაპირისპირებად იქცა. რეგიონის განსაზღვრება აზიის კონტინენტურ ნაწილსაც გაცდა და აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (ეგვიპტე) მოიცვა. XXI საუკუნის დასაწყისიდან ვითარება აღმოსავლეთში კიდევ უფრო დაიძაბა და თავისი მასშტაბებიც შეიცვალა: 2010-2011 წლებში იწყება მასობრივი სახალხო მოძრაობა არაბულ სამყაროში, ჩრდილოეთ აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში.

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური დამაბულობის შენელება სწორედ ეროვნული, ეთნო-კონფესიური, სოციალ-ეკონომიკური და რელიგიური განსხვავებების გათვალისწინებას გულისხმობს. ერთიანი სტრატეგიული მიდგომა რეგიონალური სახელმწიფოების მიმართ მრავალმხრივი თანამშრომლობისა და კონსტრუქციული დამოკიდებულების ფონზე თანამედროვე ეტაპზე საკმაოდ გაძნელდა. განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, რაც სხვადასხვა სახელმწიფოს მხრიდან რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრებით დაინტერესება სულ უფრო აშკარა და დაუფარავი გახდა.

## ქეთევან გოდერძიშვილი

### ტოპონიმთა ლექსიკონის მეთოდოლოგიისთვის

ოთხი რეგიონის ტოპონიმთა ლექსიკონზე მუშაობისას გამოიკვეთა ახალი პრობლემა, რომელმაც განაპირობა ონომასტიკურ მეცნიერებაში ახალი მეთოდოლოგიის დამკვიდრების აუცილებლობა. ესაა საავტორო უფლება, რომელიც თავისთავად „არახალია“, მაგრამ სალექსიკონო (მხედველობაში მაქვს ტოპონიმთა) სივრცეში სწორედაც რომ ახალია. როგორც დებულებას, თეზას... ჰყავს ავტორი, ისე დაბეჭდილ ტოპონიმს – პირველი დამაფიქსირებელი ავტორობის უფლებით. სწორედ ამ ეტიკეტის გათვალისწინებით, ჩემ მიერ მომიღებულ ტოპონიმთაგან გარკვეული ნაწილი \*-ითაა აღნიშნული, როგორც უწინარესად ალ. ლლონტის მიერ გამოქვეყნებული. ბუნებრივია, ამან დაჩრდილა ჩემ მიერ დიდი რუდუნებით მოპოვებული ტოპონიმთა რაოდენობა, მაგრამ გამოავლინა მეცნიერული ვალდებულება, სხვისი ნაღვანის მიუთვისებლობა.

არ არის საკმარისი მხოლოდ წინასიტყვაობაში იმის აღნიშვნა, რომ რომელიმე კონკრეტული რეგიონის ტოპონიმთა ლექსიკონი უკვე გამოცემული აქვს სხვა ავტორს. თუმცა ესეც აღსანიშნია. ალ. ლლონტის „ტოპონიმიკური ძიებანის“ პირველი ტომი ერთიანი კოლხეთის რეგიონში მოპო-

ვებული ლექსიკონია, რომელიც 2 300-ზე მეტ კოლხურ ტოპონიმს მოიცავს. ასე რომ, კოლხურ ტოპონიმთა სალექსიკონო გამოცემას ჯერ კიდევ 70-იან წლებში (1971 წ.) დაედო საფუძველი, რაც მიუთითებელია შესაბამის ლექსიკონებში.

ტოპონიმთა პირველმომპოველის საავტორო უფლების დაცვა კიდევ უფრო გამოიკვეთა სიღნაღის რეგიონის ლექსიკონზე მუშაობისას. სიმწვავე გამოიწვია ერთიანი სიღნაღისა თუ სიღნაღის ცალკეული სოფლების ტოპონიმთა ლექსიკონების რაოდენობით განპირობებულმა ტოპოპლაგიატობამ. ამ ტერმინით აღვნიშნავთ ჩვენ მიერ წამოჭრილი პრობლემას, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენა, რომელიც ახლა ასე მწვავედ წარმოჩნდა, ერთგვარად შესაწყნარებელია, რამეთუ ეს საკითხი არასოდეს დასმულა, არავის განუხილავს, მეცნიერული ეტიკეტის სახე მას არ მიუღია. ამიტომ ათ კაცს რომ ლექსიკონის სახით გამოეცა ერთი და იმავე სოფლის ან მთლიანი რეგიონის ერთი და იგივე ტოპონიმები, ათივეს ავტორობის პრეტენზია ექნებოდა. ასეც მოხდა. ამას ადასტურებს როგორც სტუდენტების, ისე მეცნიერთა ტოპონიმთა ლექსიკონები.

ერთ-ერთი სტატიის („სოფ. ქვემოზოდბის ტოპონიმია“) სათაურის ქვემოთ საგანგებოდაა მითითებული: „სტუდენტთა ექსპედიციის ჩანაწერები“ („სიღნაღი-1“, 2005.). 7-კაციანი ექსპედიცია ერთ სოფელში მისასალმებელია, მით უფრო, თუ ემსახურება სტუდენტთა განსწავლას. შედეგი: 7-კაციანი ექსპედიციის მიერ ქვემოზოდბეში მოძიებული და გამოცემული ყველა ტოპონიმი, გარდა 5-6-ისა, გამოქვეყნებულია ალ. ღლონტის „ქიზიყის ტოპონიმიაში“, მაგრამ აქაც გვერდავლილია ფაქტი.

ასე ირღვევა საავტორო უფლებები.

## ნინო ეჭიბაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **„ამორფული“ hā არაბულში (წინასწარი შენიშვნები)**

მოხსენება წარმოადგენს პირველადი აპრობაციის მცდელობას უფრო ფართო კვლევის ნაწილისა, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს არაბულში ზოგიერთი ბგერის (და შესაბამისი გრაფემის) საკითხის შესწავლას, რომელთაც პირობითად, გამომდინარე მათი სპეციფიკიდან,



„ამორფულს“ ვუწოდებთ. ამჯერად მოხსენება კონცენტრირებულია ყელისმიერ ყრუ ნაპრალოვან hā-სა და მის შესაბამის გრაფემაზე. დასკვნები მიღებულია კლასიკური და თანამედროვე სტანდარტ არაბულის, ასევე – არაბული დიალექტების მასალის ანალიზის საფუძველზე. გათვალისწინებულია სხვა სემიტურ ენათა ზოგიერთი მონაცემიც.

ყელისმიერი ყრუ ნაპრალოვანი hā არაბულში შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც „ამორფული“, რადგან: ადვილად იკარგება (ამოვარდება), ჩნდება (ისეთ ფორმებში, სადაც მისი არსებობა არაა განპირობებული რაიმე გრამატიკული ან სემანტიკური მიზეზით), განიცდის სუბსტიტუციას, ზოგჯერ – პრაქტიკულად კარგავს ფონემატურ სიტყვათგანმასხვავებელ ფუნქციას და ქმნის შესაბამის ემფატიკურ ან ჰომორგანულ თანხმოვნებთან წყვილს მინიმალური განსხვავებით სემანტიკაში. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ზემოთ ჩამოყალიბებული თეზისის საარგუმენტაციო მასალა. ყურადღება გამახვილებული იქნება, ასევე, hā-ს შესაბამისი გრაფემის სპეციფიკასა და მის თანმხლებ მოვლენებზე არაბულ ორთოგრაფიაში.

## მარინე ივანიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### აკადემიკოს სერგი ჯიქიას ეტიმოლოგიური ძიებები

აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიის კვლევით სერგი ჯიქია ახალგაზრდობის წლებიდანვე ყოფილა დაინტერესებული, ამის დასტურია მისი არაერთი ნაშრომი: „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი V, №2, თბილისი 1944); კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი 1946); აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან (საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. ენათმეცნიერების ინსტ. შრ. (აღმ. ენათა სერია), ტომი III, თბილისი 1960); აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან (წაკითხულ იქნა მოხსენებად აკად. გ. ახვლედიანის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, 18.10.1977; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი 1984) და სხვ.

ყურადსაღებია სერგი ჯიქიას მოსაზრება ეტიმოლოგიური კვლევების მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ: „საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი მშობლიური ენის მეცნიერულად და სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებლად საჭიროა, სხვათა შორის, ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა ინტენსიური მუშაობა იმ მიმართულებით, რომ სათანადო სიზუსტით გაირკვეს და გამოვლინდეს მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობათა შედეგად ქართულ ენაში დაფუნდებულ არაბულ-სპარსულ-თურქულ-სომხურ ლექსიკურ ნასესხობათა გარკვეული ფენა. ასეთი ხასიათის სამუშაო ფრიად შეუწყობს ხელს აგრეთვე დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მქონე, მაგრამ საკმაოდ დაგვიანებული ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის საქმეს“ (ს. ჯიქია 1984). ეს საკითხი დღესაც აქტუალურია.

ამ სერიის ნაშრომებიდან მოხსენებისთვის ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ სერგი ჯიქიას გამოკვლევაზე – „მასალები „გუთან“ სიტყვის ისტორიისათვის“ (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, ტ. 22, თბილისი 1985) მიზეზთა გამო: იგი „გუთან“ სიტყვის ეტიმოლოგიას რამდენჯერმე მიუბრუნდა (1944, 1977, 1984, 1985), რაც მეტყველებს მკვლევრის მაღალ პროფესიონალიზმზე, თანმიმდევრულ და ფრთხილ დამოკიდებულებაზე ამგვარი სამუშაოს შესრულებისას.

მოხსენებაში სერგი ჯიქიას „გუთან“ სიტყვის ეტიმოლოგია შევსებულ იქნება ქართველურ ენათა მონაცემებით.

## **თინა იველაშვილი**

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **აკადემიკოსი სერგი ჯიქია და ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი**

XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული დღემდე გრძელდება შოვინისტ-ნაციონალისტი სომხების მხრიდან აღვირახსნილი ცრუ პროპაგანდა იმის შესახებ, რომ სამცხე-ჯავახეთი-წალკა სომხეთის ძირძველი ისტორიული ტერიტორიაა, სადაც უძველესი დროიდან მხოლოდ სომხები ცხოვრობენ და ამდენად ეს რეგიონი მათი ისტორიული სამშობლოა.

მაგალითისათვის დავასახელებთ ვინმე ირტიუმ სანოსიანის მიერ რუსულ ენაზე 2006 წელს ერევანში გამოცემულ სტატიების კრებულს „...еще

белый геноцид“. ავტორი ყველანაირად ცდილობს, მკითხველთა და დაინტერესებულ პირთა ფართო წრე დაარწმუნოს, რომ სამცხე-ჯავახეთი სომხების პირველ საცხოვრისი სამშობლოა და დღეს ქართველები ყველა ხერხს მიმართავენ, რათა იქ მაცხოვრებელი სომხები შეავიწროონ და აიძულონ თავიანთი ისტორიული სამშობლო მიატოვონ (თეთრი გენოციდი).

მაგალითისათვის დავასახელებთ ვინმე ირტიუმ სანოსიანის მიერ რუსულ ენაზე 2006 წელს ერევანში გამოცემულ სტატიების კრებულს „...еще белый геноцид“. იგი „იკვლევს“ სამცხე-ჯავახეთის ძირძველ ქართულ სოფლებს (აწყური, უდე, ხერთვისი, ხიზაბავრა და ა.შ.), ცდილობს, „დაასაბუთოს“, რომ ისინი უძველესი დროიდან (რამდენიმე ათასწლეულის წინ მაინც) სომხებით დასახლებული პუნქტებია და უნდობლობას უცხადებს ამ თურქული წყაროს ქართულ ენაზე მთარგმნელს ცნობილ თურქოლოგს აკადემიკოს სერგი ჯიქიას. “Сей ученый муж не пожелал сил и стараний дабы извратить армянские имена, сделать их грузинскими и если не удавалось непонятными” აცხადებს იგი და დაბეჯითებით მოითხოვს: “Как с научной, так и с точки зрения наших национальных интересов сейчас крайне важно и необходимо сделать перевод реестра непосредственно с турецкого на армянский, что позволит уточнить армянские названия сотни армянских сел и тысячи армянских имен».

როგორც ჩანს, ა. სანოსიანი და მისი ზოგიერთი სომეხი კოლეგა, თავიანთი ნაციონალური (უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, დაშნაკურშოვინისტური) ინტერესებიდან გამომდინარე, მიჩვეულნი არიან ფაქტებისა და ისტორიული წყაროების გაყალბებას. თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე ფიქრობენ, რომ სხვა ქვეყნისა და ეროვნების მკვლევრებიც ასე იქცევიან. პროფესიონალური პატიოსნება და ობიექტურობა ეს ყველა ისტორიკოსისა და მკვლევრისათვის ანბანური ჭეშმარიტებაა. აკადემიკოსი სერგი ჯიქია მკვლევართა იმ თაობას ეკუთვნის, რომლისთვისაც უცხო კვლევის პროცესში ნაციონალური მიკერძოება. ამას არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სპეციალისტებიც ადასტურებენ. ქართველ მკვლევართა მიმართ ამგვარი დამოკიდებულებით სომეხი „ისტორიკოსები“ თავიანთ შინაგან ბუნებას ამჟღავნებენ, რაც მათი არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელია.

## ემზარ კახიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ადრე შუასაუკუნეების საქართველო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის: ცივილიზაციურ-კულტურული არჩევანი**

თავისი კულტურულ-ცივილიზაციური გზის დასაწყისში ქართველური ტომები ძველადმოსავლური სამყაროს გავლენის ქვეშ მოექცნენ და შეიძლება ითქვას სახელმწიფოებრიობის პირველი ნიშნები სწორედ ამ გარემოს ფარგლებში ჩამოყალიბდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩვენი წინაპრები აღმოსავლური ცივილიზაციის პერიფერიაში მოხვდნენ და არ შეუთვინებიათ მისი ძირითადი კულტურულ-პოლიტიკური მახასიათებლები, პირველ ყოვლისა, დესპოტური მმართველობის სტილი. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ეს რაღაც ალტერნატიული სოციალ-პოლიტიკური ფორმაციის შექმნის ხარჯზე კი არ მომხდარა, არამედ არქაული ურთიერთობების დაკონსერვებით, როცა საზოგადოებაში ჯერ კიდევ წინარეისტორიული ფასეულობები ბატონობდა.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი და ანტიკური სამყაროს ურთიერთობების შესახებაც. მართალია, დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ, ელინიზმმა და განსაკუთრებით რომაულმა გავლენებმა კოლხეთსა და იბერიაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა, მაგრამ კულტურულ-ცივილიზაციური მატრიცა არ შეცვლილა. იმდროინდელი საქართველო უკვე დასავლური ცივილიზაციის პერიფერიაა, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ემსგავსება მეტროპოლიას.

თუმცა, ანტიკური სამყაროს თუნდაც ფორმალურმა წევრობამ, განსაკუთრებით რომაულ სამყაროსთან „მოკავშირეობამ“, ფაქტობრივად, განაპირობა ჩვენი ქვეყნის დასავლური არჩევანი. ეს გამოჩნდა ახ.წ. IV ს-ში, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, V-VI სს-ში, როდესაც უკიდურესად გამწვავდა სპარსეთისა და ბიზანტიის დაპირისპირება კავკასიაში<sup>1</sup> და დაგვირგვინდა VII ს-ში, ჯერ ქრისტიანობის დიოფიზიტური მიმდინარეობისადმი ერთგულების ოფიციალურად გაფორმე-

---

<sup>1</sup> ჩვენი ხედვით აღმოსავლეთის ექსპანსია უპირველესად განპირობებული იყო ყოფილი პერიფერიის საკუთარ წიაღში დაბრუნების თუნდაც ქვეცნობიერი სწრაფვით, რამაც ერთგვარი დამბალანსებელის როლი ითამაშა და სხვა, ენდემურ მიზეზებთან ერთად ქართული უნიკალური კულტურულ-ცივილიზაციური მატრიცის შექმნას შეუწყო ხელი.

ბით, შემდეგ კი არაბულ-ისლამური სამყაროს უპრეცედენტო ზეწოლის მიუხედავად, აღმოსავლური ხალხების უმრავლესობისგან განსხვავებით, ქრისტიანობის, უფრო მეტიც, მისი ბიზანტიური მიმდინარეობის ქოლგის ქვეშ დარჩენით. მომდევნო საუკუნიდან ქართველებმა საკუთარი, უნიკალური ცივილიზაციურ-კულტურული სივრცის ფორმირება დაიწყეს, რომელშიც ბუნებრივად გაერთიანდა ულტრაკონსერვატიზმი, არქაულობისადმი მიდრეკილება, იმ დროისათვის შესაძლებელი მაქსიმალური გახსნილობა და პროგრესისადმი სწრაფვა. შეიძლება ითქვას, ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ თანამედროვე ქართველთა სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ძირითად ასპექტებს და მომავალი წარმატებების იმედებსაც გვიტოვებენ.

## იგორ კეკელია

*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **აზნაგეთის სამი ტოპონიმის გაანგრაბისათვის (კინდლი, რეფი, ჯამღვარღვალე)**

კინდლი სოფელია ოჩამჩირის რაიონში, შავიზღვისპირა დაბლობზე. ადმინისტრაციული ერთეული აერთიანებს სოფლებს: საკუთრივ კინდლს, ახივას და ლეფონას. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ შუასოფლის მხარეში, ტამუშის დასავლეთით, მდ. ლაგუაშის ნაპირზე მდებარე სოფელ კინდლის//კვინდელის ძველი სახელწოდება იყო კანდახი. მდ. ლაგუაშს კანდახა რქმევია. პ. ვესკონტის 1318 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნულია კანტახა, კანდახა. 1834 წელს შედგენილ რუკაზე კი სოფლის სახელწოდებად წარმოდგენილია კანდიხი (კანდგხი – კანდახი). მკვლევარი იმოწმებს აგრეთვე საინგილოში, ზაქათალის რაიონში მდებარე სოფლის სახელწოდებას – კანდახი, მაგრამ არაფერს ამბობს თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 170-171).

კინდლის მოტივაციაზე მსჯელობისას საყურადღებოა სამურზაყანოს მეგრულში კინდლი/კინდლ, როგორც საზოგადო სიტყვის, ორგვარი მნიშვნელობა, რაც მოცემულია ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“: 1. დაბალი, რამდენადმე მოსწორებული ადგილი; 2. ეკალ-ლიჭი, ჩაგვერა (ა. ქობალია, 2010, გვ. 366).

რეფი ეწოდება სოფლის კუთხეს ენწერსა და ნათოფურუს შუა, გალის რაიონის სოფ. რეფი-ეწერში, ხოლო საბჭოთა პერიოდში არსებობდა სოფელი რეფი-შეშელეთი. ამ უკანასკნელში 1930 წლისათვის შედიოდა შვიდი სოფელი: რეფი, რეფი-ეწერი, ეწერი, კარამონი, ნათოფურე, შეშელეთი და ხუმეფი. სოფლის სახელწოდების ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: ორინალო რე ეფი „იაფი საცხოვრებელია“. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას განმარტებით, რეფი მეგრულში ქვიან ჭალას, ვაკეს ნიშნავს.

თვით რეფი-ეწერი სოფელი და რეფი-შეშელეთის თემის ცენტრია ჭიჭე ერწყარისა და ოჯოღორის ნაპირებზე, ზ. დ. 20 მ. ამიერკავკასიის 1886 წლის კომლობრივი აღწერის მასალებში რეფი გუდავის თემში შემავალი სოფელია. გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის რეფი და ეწერი ტერიტორიულად ერთმანეთს შეერწყა, მაგრამ წარმოქმნილ სახელს ორივე სახელი შეუნარჩუნდა.

„რეფის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მეგრულის სალექსიკონო მასალებში დამოწმებული რეფი სიტყვის კიდევ ორი მნიშვნელობა: 1. ქვიანი, ვრცელი ადგილი; 2. ხვავრიელი ადგილი (ქობალია, 2010: 571). შდრ.: რეფიშდუდი – რიყიანი ადგილი ოჩხომურის ნაპირზე, რეფიშ ტობასთან, ჩხოროწყუს რ-ნის სოფ. ლესიჭინეში; რეფიშ ტობა//საკაციომ ტობა – მორევი ოჩხომურზე, საკაციოში (ლესიჭინე). პ. ცხადაიას წიგნში დამოწმებულ ამ ტოპონიმს ახლავს ინფორმანტის განმარტება: „რეფი არის ერთგან დაყრილ-დაზვინული ქვა ან ქვალოდინი რიყე თუ ჭალა. რეფიც რიყეა, მაგრამ მათ შორის განსხვავებაა: რეფი მსხვილქვიანი, ქვალოდინი ჭალაა, რეყე კი – ქვიანი ჭალა“ (პ. ცხადაია, IV, 2007: 326).

ჯამღვარღვალე. ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟაში (აფხ. „წყალ-თაშუა“) ჩაწერილი ოთხ ათეულამდე მიკროტოპონიმიდან რამდენიმე მეგრული წარმომავლობისაა. ინტერესს იწვევს ტოპონიმ „ჯამღვარღვალე“-ის წარმომავლობა. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება იყოს მეგრული ჯერღვამღალე. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ოჩამჩირის რაიონის ჯგერდის თემში სოფელს და პატარა მდინარეს ეწოდება ჯერღვილი//ჯირღული. თ. გვანცელაძე შენიშნავს, რომ მეგრ. ჯერღვილ-ის აფხაზური ვარიანტია ჯრღლღე. ვინაიდან მისი ახსნა აფხაზურად შეუძლებელია, მკვლევარი ფიქრობს, რომ ტოპონიმი მიღებულია მეგრული ჯერღვილ-ფორმისაგან, ფონოტაქტიკის წესების დაცვით: ჯ და რ თანხმოვნებს შორის მდგომ ე ხმოვანს კანონზომიერად ცვლის ა ხმოვანი, ღვი მარცვალს კი – ღ<sup>2</sup> ჯგუფი. ჰიდრონიმი მეტონიმიის გზით მოგვიანებით სოფლის სახე-

ლად ქცეულა (თ. გვანცელაძე, 2011: 182). გალის რაიონში დამოწმებულია ჰიდრონიმი „ჯერღვამღალ“. ასე ეწოდება ხუმუშქურის შენაკადს სოფ. თხინაშკარში. სოფ. ფართონოხორში, აღმართს ერისწყლიდან სამარაშიომდე ჯერღვანა ეწოდება. ჯერღვი სიტყვას მეგრულში ორი გადატანითი მნიშვნელობა აქვს: 1. ხის ფესვები; 2. მრავალძარღვა (იგივე მაჯერღვანა). ხალხური ეტიმოლოგიით, ჯერღვანა იმიტომ ეწოდა, რომ „მხოლოდ მაგარძარღვიანი კამეჩები თუ დაძლევენ ამ აღმართს“ (იქვე).

როგორც აღინიშნა, ჯერღვი მეგრ. იგივეა, რაც „ძარღვი“, ხოლო ჯერღვამი აღნიშნავს „ძარღვიანს“. მაშასადამე, ჯამღვარღვალე შინაარსობრივად „ძარღვიანი, დაძარღვული ღელეა“, რაც აფხაზურს ჯამღვარღვალის სახით შუთვისებია (ჯერღვამღალე → ჯარღვამღალე → ჯამღვამღარე → ჯამღვარღვალე).

შესაძლებელია სახელწოდების სხვაგვარი გააზრებაც: ჯამღვარღვალე – ღელე, რომლის ნაპირებზეც ხე-მცენარეთა ფესვები მოჩანს.

## ემზარ მაკარაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **თურქეთის საგარეო პოლიტიკის ასპექტები და „თურანიზმის“ საკითხი**

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლების ზრახვებს „ახალი თურქული“ გეოგრაფიული არეალის გაფართოების შესახებ.

„ახალი თურქული“ გეოპოლიტიკა მეტნაკლებად მიმართულია საკუთარი გავლენის გაძლიერებაზე სამხრეთით „ახლო აღმოსავლეთზე და ხმელთაშუა ზღვის რეგიონზე“ და აღმოსავლეთით „კავკასიასა და ცენტრალურ აზიაზე“. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი პოლიტიკაში თანდათანობით ემსგავსება ისეთ მოთამაშეს, რომელსაც აქვს საკუთარი, პირადი ინტერესები, განსხვავებული ტრადიციული მოკავშირეების ინტერესებისაგან, იგულისხმება აშშ და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ევროპული ქვეყნები.

ამ მხრივ საინტერესოა განვიხილოთ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ასპექტები, რაც „თურანიზმისა“ და დიადი თურქეთის იდეოლოგიასთან არის დაკავშირებული.

„თურანიზმი“, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ „თურქიზმი“, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო განვითარდა და თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკის წარმმართველ იდეოლოგიად იქცა პირველი მსოფლიო ომის წინ. ცნობილი ქართველი თურქოლოგი ო. გიგინეიშვილი აღნიშნავს, რომ „თურქიზმი არ იყო შემთხვევითი მოვლენა, მისი შექმნა და გაძლიერება განაპირობა თურქეთის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებამ“.

თურქოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „თურქიზმი“ და „თურანიზმი“ ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ტერმინებია. მართალია, მათ შორის არსებითი განსხვავება არ არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, „თურქიზმის“ და „თურანიზმის“ გაერთმნიშვნელიანობა მაინც შეცდომა იქნება – „თურქიზმი“ არსით უფრო ვიწრო მნიშვნელობის ტერმინი უნდა იყოს, ვიდრე – „თურანიზმი“.

თურქულენოვან სახელმწიფოებში თავისი მიზნის მიღწევას თურქეთი ცდილობს ეკონომიკური განვითარების გზით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პოლიტიკურ დაახლოებას.

„თურანიზმი“ იმდენად რთული მოვლენაა, რომ აბსურდია მტკიცება არსებობს თუ არა ის რეალურად, და თუ არსებობს, რამდენად რეალურია მისი განხორციელების საშუალებები.

## **ნიკოლოზ ოთინაშვილი**

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

### **დილაქტა შერაჰის პროცესები ფრონეს ხეობაში**

ქართული ენობრივ-დიალექტოლოგიურად მრავალფეროვანია: ამ მრავალფეროვნებას ქმნის მიგრაციები, ხოლო, მეორე მხრივ, არაქართული ენები. ქართლში ცხოვრობენ იმერლები, კახელები, მოხევეები, მთიულეები, რაჭველები, მეორე მხრივ რუსები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები და სხვა ეროვნებები.

ამჟამად ჩვენი მიზანია ყოფილი ოლქის, ისტორიულად ზემო ქართლის – ფრონეს ხეობის მცხოვრებთა მეტყველების შერევის პროცესის ამსახველი მასალის წარმოჩენა ქართლურთან, რომელიც უკვე საუკუნეებია მიმდინარეობს და თავისებური ფორმებით გამოირჩევა.



1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს დავთარში“ დაცულია ცნობები ფრონეს ხეობის სოფლებში იმერული და რაჭული მოსახლეობის ცხოვრების შესახებ. ქართული სამართლის მეგლების მე-7 ტომში 64 ნომრით მოცემულია აზრი თავად ზაალ დავითაშვილისა მეფე ერეკლე მეორისადმი: „ნულს დავასახლე ხუთიოდ კომლი იმერელი, ჩემი ბიძაშვილი მიუხთება და სცემს, მუდამ შფოთსა და ჩხუბს გვაძლევს“.

იმერული მოსახლეობა ფრონეს ხეობაში დიდი ხანია სახლობს და პროცესი შემდგომ ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა. თიღვაში, ხუნდისუბანში, ქალეთში, სუნისში, ოქონაში, ახალშენში და სხვა სოფლებში მცხოვრებლებმა დღესაც კარგად იციან თავიანთი მოსვლის დრო და წინაპრების ვინაობა. იმერლებისა და რაჭველების გვარებია: გაჩეჩილაძე, შუბითიძე, სამხარაძე, ლაბაძე, კუსიანი, ლაცაბიძე, გოგოლაძე, ხარაზიშვილი, ნადირაძე, დარბაიძე, შაორშაძე, ანდრიაძე. შემდგომ ფრონეს ხეობაში ჩამოსახლებისა შიდა ქართლის სოფლებშიც ჩასახლდა რაჭველი და იმერელი მოსახლეობა. ქალეთში მცხოვრები ნადირაძეების ნაწილი გადასახლდა ქართლის სოფლებში მეღვრეკისსა და ფხვენისში, ასევე ქალაქ გორში. ასევე ქალეთიდან არის ქართლის სოფელ კეხვში ნებიერიძეები. სოფელ ბრილიდან ქართლის სოფელ ხეთში გადავიდნენ მზარეულიშვილები, სოფელი თორმანეულიდან სოფელ მერეთში ელიაშვილები და სხვა.

იმერული მოსახლეობის მეტყველებაში გვხვდება ზმნისწინისეული ხმოვნის შეცვლა: მეიტანა - მოიტანა

დეიჭირნა - დაიჭირა

სიტყვაში ჩართულია ბგერა: გამოიღვიძნა - გამოიღვიძა

მურთაქა - მუთაქა

ეხვერწებოდა - ეხვეწებოდა

თემის ნიშანთა შეცვლა: გაუკოჭამს - გაუკოჭავს

სვამს - სვავს და სხვა

ქართლში დაცული იმერლების მეტყველების ნიმუშები: ხბოები (ხბორები) ფერდა-ფერდა მყვანდა და გელი (მგელი) გამოვარდა.

ორმაგი მრავლობითობა: სალამანთში ვიყავით მეტრეველების ნათესავებში.

შეიმჩნევა ხმოვანთა გაგრძელება: ამ წყარო(ს) სამი მილი ააქ...

ასე უთხარი შეენ კარქა ვაარ თქო და სხვა.

## მურმან პაპაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **დღემდე უსწობი წყარო ერეკლე I-ის ერთი დიპლომატიური აქტის შესახებ**

თბილისიდან კაპუჩინი მისიონერის ჯუზეპე ანტონიო რომანოს მიერ წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ერთ-ერთი კარდინალისადმი მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ 1675 წლის აპრილ-ივნისში ირანში დიპლომატიური მისიით ჩავიდა გენერალური ვიზიტატორი, ნახიჩევანის ვიკარიუსი, მამა ფრანჩესკო პიკო. რომის პაპმა კლემენტე X-მ ის ირანის შაჰ სულეიმან I-თან გაგზავნა სომხურ გრიგორიანული და რომაულ-კათოლიკური ეკლესიებს შორის უნიის საკითხის გადასაჭრელად.

დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ პისკოპო ჩავიდა შაჰის კარზე, სადაც საპატიო ელჩის მიღებას ესწრებოდა ირანში მყოფი, ქართლის ან კახეთის სამეფო ტახტის მამიებელი, ერეკლე უფლისწული, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა მიეღო თუ არა მუსლიმობა. როგორც ჩანს, შექმნილი ვითარებით ისარგებლა ერეკლე უფლისწულმა და ირანში მყოფი ერთ-ერთი სამოციქულო მისიონერის ანტონიო რუფინოს მეშვეობით ყაზვინში მყოფ ეპისკოპოსთან დაამყარა ურთიერთობა, რათა მას ერეკლე რომის ეკლესიის წიაღში მიეღო. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ ერეკლე ბატონიშვილმა სცადა, რომ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა კათოლიკე მისიონერებისა და პაპის გავლენა შაჰის კარზე. კერძოდ, რომის კურიასა და შაჰის კარს შორის არსებულ ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობის ფარგლებში მოსინჯა ნიადაგი რომის პაპი გაეხადა შუამავლად შაჰის კარზე, რათა ამ უკანასკნელს ის ქრისტიანად დაესვა ქართლის, ან კახეთის ტახტზე. ასევე საფიქრებელია, კათოლიკობისადმი მიდრეკით მას შეიძლება სურდა შაჰისათვის, რომელიც სრულად იწყნარებდა იმპერიის ტერიტორიაზე კათოლიკე მისიონერებს, ეჩვენებინა, რომ ზურგი აქცია მართლმადიდებელ რუსეთს, ემხრობა ირანის კარის დასავლურ კურსს და თავისი „გაკათოლიკებით“ მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია შაჰის კარისათვის, ვიდრე – გამუსლიმებნით. საკუთრივ კი კათოლიკობაზე გადასვლას, ალბათ, მართლმადიდებლობის დალატად არ მიიჩნევდა.

## ნესტან სულაგა

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ნმ. გიორგი შაყენაბულის მოღვაწეობის შესახებ (წყაროთმცოდნეობითი კვლევა)**

წმ. გიორგი შეყენებული, წმ. გიორგი მთაწმინდელის მოძღვარი, არის გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების („წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ ერთ-ერთი პერსონაჟი და სასულიერო-საეკლესიო მოღვაწე, ქართული მწერლობაზე მზრუნველი და მოამაგე, თხზულებათა შექმნის ინიციატორი და თავადაც ჰიმნოგრაფი. იგი XI საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მოყოლებული 1068 წლამდე, გარდაცვალებამდე, მოღვაწეობდა შავი მთის მონასტერში, სადაც XI საუკუნეში ერთ-ერთი უძლიერესი ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა არსებობდა. წმ. გიორგი შეყენებულის შესახებ ცალკე ჰაგიოგრაფიული თხზულება არ შექმნილა, ხოლო ცნობები მის შესახებ შემოგვინახა გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიულმა თხზულებამ, აგრეთვე შავ მთასა და ათონზე შექმნილი და გადაწერილი ხელნაწერების კოლოფონებმა. გვიანდელი წყაროებიდან საყურადღებოა ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა“, რომელშიც წმ. გიორგი შეყენებული ავტორისათვის ჩვეული მეტაფორებით, სტილითა და სახისმეტყველებითაა წარმოსახული.

წმ. გიორგი შეყენებულის მოღვაწეობა სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, მხოლოდ წმ. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობისა და შავი მთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის პრობლემატიკის კვლევისას ექცეოდა ყურადღება. ამიტომ შევეცადეთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის, აგრეთვე როგორც გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟის ხატ-სახის წარმოჩენას. წმ. გიორგი შეყენებულს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის ორი უმნიშვნელოვანესი თხზულების შექმნაში, რადგან სწორედ მან დაავალა ორ შესანიშნავ ქართველ მწერალს ჰაგიოგრაფიული თხზულებების შექმნა, კერძოდ წმ. გიორგი მთაწმინდელს წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელების ცხოვრების, ხოლო გიორგი მცირეს \_ წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების აღწერა, ე.ი. იგი ამ თხზულებათა შექმნის ინიციატორია. რომ არა წმ. გიორგი შეყენებული, შეიძლება წმ. გიორგი მთაწმინდელს და გიორგი მცირეს არც შეექმნათ თავიანთი ჰაგიოგრაფიული თხზულებები.

ყურადღებას იქცევს გიორგი შეყენებულის, როგორც წმინდანის ხატ-სახე გიორგი მცირის თხულებაში. იგი ჰაგიოგრაფიაში დამკვიდრებული სახისმეტყველებითი საშუალებებითაა წარმოსახული. წმ. გიორგი შეყენებულის სივრცული არეალი, „ნაპრაღი კლდეა შინა“, სიმბოლურად გაი-აზრება, რადგან მემღვიმეობას, სხვა ასკეტურ ყოფასთან ერთად, უდიდესი სულიერი მისია ეკისრებოდა, მღვიმე სულიერი განდმრთობის ადგილად მიიჩნეოდა, საიდანაც მოღვაწეს, სულიერად მცხოვრებ წმინდანს ზეცათა მოქალაქობის მოპოვების შესაძლებლობა ეძლეოდა. თხზულებაში წინას-წარმეტყველური მისიით შემოდის, რათა ახალგაზრდა წმ. გიორგი მთაწ-მინდელს, შთააგონოს საღვთო საქმის აღსრულება და ერისათვის ზრუნვა წმინდა წიგნების გამრავლებით.

ელენე მეტრეველმა ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერისა და საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის ისტორიის კვლევისას ვარაუდი გამოთქვა, რომ წმ. გიორგი შეყენებულმა თავის მოწაფეს, წმ. გი-ორგი მთაწმინდელს საგალობლები თვითონ მიუძღვნა, რითაც შეავსო გი-ორგი მცირის დაწერილი ჰაგიოგრაფიული „ცხოვრება“, მას დაურთო ოთხი გალობანი, ანუ შესხმა. ეს საგალობლები ჰიმნოგრაფიულ-ლიტურ-გიკული განგებაა, რომელშიც ჰიმნოგრაფიული სახისმეტყველებითი ხა-ტოვანებით იქმნება საგალობლის პერსონაჟის ამაღლებული ხატ-სახე და ჰიმნოგრაფის პოეტური სამყარო.

წმ. გიორგი შეყენებული მრავალმხრივ საინტერესო მოღვაწეა, რომელ-მაც ღრმა კვალი დაამჩნია ქართულ კულტურას, უდიდესი წვლილი შეი-ტანა ქართული ეკლესიის, ქართული ლიტერატურის, საქართველოს ის-ტორიაში. იგი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარ-მომადგენელია, რომელმაც ორი მწერალი მოუძადა ქართულ ლიტერა-ტურას და თავადაც შესანიშნავ ჰიმნოგრაფად მოგვევლინა.

## **ლევან ფაჩულია**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **თურქულის გავლენის კვალი მხარულში**

ხელმისაწვდომ ემპირიულ მასალასა და ლექსიკოგრაფიულ წყაროებ-ზე დაკვირვებამ (ყიფშიძე 1914; ელიავა 1997; ქაჯაია 2001, 2002, 2002, 2009; ქობალია 2010; კლიმოვი, ქაჯაია 2013) მეგრულ მეტყველებაზე გამოავლინა

მასში არსებობა ე.წ. ექორედუპლიკაციის ნიმუშებისა (აზა-კვაზა, აძგა-ბაძგა, ტურა-მურა, ფარა-მარა...). ამგვარ კონსტრუქციათა საკლასიფიკაციო ნიმუშები (პარამეტრები) გამოიყო ქართულის ექოსებრი წყვილებისათვის (კიკვიძე, 2017), რის საფუძველზეც შესაძლებლად მიგვაჩნია მეგრულის ექოსებრი წყვილების ტიპიზაცია იმის მიხედვით, ენობრვი კონტაქტების შედეგია იგი, თუ არა (ფაჩულია, კიკვიძე 2018). ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს *მ-რედუპლიკაციის* შემთხვევები მეგრულში. მხედველობაშია ასეთი კონსტრუქციები: *ჭინჭა-მინჭა*, *ხაჩა-მაჩა*, *თხოზინი-მოზინი* და მისთანები, რომლებიც წარმოადგენენ სიმინტიურ მრავლობითს (ე.ი. X და მისი მსგავსი მოვლენები).

ანალოგიური კონსტრუქციები ახასიათებს თურქულს: kitap mitap „წიგნები და სხვა წიგნები“, adam madam „ადამიანი და სხვა ადამიანები“ და ა.შ. ესაა ე.წ. mühleme-ს ტიპის ექორედუპლიკაცია, რომლის მსგავსი ყალიბები მოიპოვება თურქულისაგან „... სამხრეთით, აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და დასავლეთით გავრცელებულ ენებში, რომელთა ახლო კონტაქტები თურქულთან, თავისთავად ცხადია, ისტორიულადაა დაფიქსირებული“ (შტოლცი 2008:116). ეს ვითარება გვამღვეს საფუძველს იმისა, რომ მეგრულში დადასტურებული სონორისეული *მ* ტიპის რედუპლიკაცია თურქულის გავლენის შედეგია.

## მარინე ფუთურიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **სამხრეთკავკასიურ-ანატოლიური კავშირები ძვ.წ. II ათასწლეულში: შემთხვევით აღმოჩენილი ლითონწარმოების ნიმუშები ჭოროხის აუზიდან**

წარმოდგენილი მოხსენება ეძღვნება ძვ.წ. II ათასწლეულის ლითონწარმოების საკითხებს სამხრეთ კავკასიურ-ანატოლიური კავშირურთიერთობების კონტექსტში. ამ პრობლემატიკის ფარგლებში მკვლევართა საგანგებო ინტერესს წარმოადგენს ჭოროხის აუზის ლითონის არტეფაქტები, რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევიან უძველესი ლითონწარმოების პროცესებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიქცია ჭოროხის აუზის რეგიონში შემთხვევით აღმოჩენილმა ლითონის მასალამ, რომლის თურქულენოვანი

პუბლიკაციაც იმდენად საყურადღებო აღმოჩნდა იმთავითვე, რომ ქართველი არქეოლოგების თხოვნით ეს ნაშრომი საგანგებოდ თარგმნა ბატონმა სერგი ჯიქიამ. სწორედ მისი თარგმანის წყალობით გახდა ხელმისაწვდომი მთელი რიგი მონაცემები, რომლებიც კოლხური კულტურის ლითონწარმოებას უკავშირდება. ბატონი სერგის იუბილესთან დაკავშირებით საგანგებოდ მომზადებულ ამ კვლევას ვუძღვნიტ მას, რომლის თარგმანმაც დიდი სამსახური გაუწია არქეოლოგიურ მეცნიერებას. პრობლემა, რომელსაც ეხება წარმოდგენილი მოხსენება არის კოლხური ცულების გავრცელების საკითხი სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით. ჭოროხის აუზი, როგორც ერთი მთლიანი ჰიდრომაგისტრალი, ნაკლებადაა შესწავლილი კოლხური ლითონწარმოებისათვის დამახასიათებელი არტეფაქტების ამ სივრცის ყველაზე დასავლეთ ნაწილში გავრცელების მხრივ. ამ თვალთახედვით ინტერესს იწვევს თურქეთის ტერიტორიაზე გამავალი მდ. ჭოროხის მონაკვეთზე გამოვლენილი მასალა, რომელიც კოლხური ლითონის იარაღის ტიპების რადიაციის დადგენისთვისაა საყურადღებო. ართვინის მიდამოს ერთ მაღაროში აღმოჩენილი ლითონის ცულები ტიპოლოგიის საკითხთან ერთად დიდ მნიშვნელობას იძენს მათი რადიაციის საზღვრების დადგენის მხრივაც. მდინარე, მით უმეტეს თუ ის მთავარი ჰიდროარტერიაა, ყოველთვის დიდ როლს ასრულებს კულტურული მიღწევების გავრცელებასა და მიგრაციაში. პრეისტორიულ ხანაში კი, როცა გაცილებით შეზღუდული იყო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება, დიდ მდინარეთა არტერიებს ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ჭოროხი ერთ-ერთი ის მძლავრი ჰიდრომაგისტრალია, რომლის საშუალებითაც ხერხდებოდა კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ლითონწარმოების ნიმუშების გადაადგილება-გავრცელება ფართო არეალში. მდინარეთა გასწვრივ, როგორც წესი, ხშირია კულტურული მიღწევების გადატანა. ბრინჯაოს ეპოქის ლითონწარმოების წარმოდგენილი მასალები, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს უძველეს ანატოლიასა და მის მიმდებარე ამიერკავკასიის სამხრეთ რეგიონებს შორის ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების კვლევის თვალსაზრისით.

## იზა ჩანტლაძე

ოსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

### მეხსეთის ანარეკლი სვანეთში

რეგულარული ფონემათმესატყვისობა არაერთ რთულ პრობლემას ხსნის ქართველოლოგიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მას სათანადო ყურადღება არ ექცევა არაენათმეცნიერთა მხრიდან. ამჯერად ჩვენ შევეხებით ისტორიული ანთროპოლოგიის მხოლოდ ერთ კონკრეტულ მონაცემს – ქართული ეროვნული კულტურის ილუსტრაციას:

უშგულში, მაცხოვრის ეკლესიაში (**მაცხოვრის**), ინახება ძვირფასი ხატი, რომელიც მისთვის შეუწირავთ ვინმე **ვახტანგ წახანელისძესა** და მის მეუღლეს – **ხუაშაქს** XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე (თაყაიშვილი 1937: 153). ირკვევა, რომ ისინი მაღალ სოციალურ წრეს ეკუთვნოდნენ და, ალბათ, ცხოვრობდნენ სოფელ წახანში, მდინარე ოძრხეს ხეობაში. აკადემიკოს **სერგი ჯიქიას** ფუნდამენტურ სამტომეულში „**გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი**“ (1941: 11, 122; 1947: 9, 120; 1958: 165, 168-173, 496) ამ სოფლის შესახებ გარკვეული მსჯელობაა. მას ახსენებს მ. ბროსეც (1861: XXV). **იგი დღესაც იმავე ადგილას მდებარეობს** (შდრ. რ. თოფჩიშვილი, სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი, 2015: 59) და შედის თანამედროვე ადიგენის მუნიციპალიტეტში, ოღონდ „თურქ მეხსებად“ თუ „კავკასიელ თურქებად“ მონათლულ და თავიანთი სამკვიდროდან 1944 წელს აყრილ ადგილობრივ მკვიდრთა (მაჰმადიან მესხთა) ნაცვლად ახლა იქ იმერლები ცხოვრობენ (მ. ბერიძე 2013: 185-194).

ისტორიკოსთა კვლევების მიხედვით, XII-XIV საუკუნეების საქართველოში **ხუაშაქ**ის სახელწოდებით რამდენიმე ქალბატონია ცნობილი, რომელთა უმრავლესობა გიორგი მესამისა თუ თამარის სამეფო კარზე დაწინაურებულ მხარგრძელთა და ჯაყელთა შთამომავალია. ზოგი მათგანი ქრისტიანულ ძეგლთა ქტიტორად და ხატების შემამკობლადაც კია მიჩნეული (რ. გოგოლაური 2017: 63-81). ამიტომ სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ მესხეთის მკვიდრი დაინტერესებულიყო სვანეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში აგებული ძველი ეკლესიითაც.

სვანეთის ისტორიულ დოკუმენტებში, რომლებიც ქართულ ენაზეა შესრულებული, გვხვდება როგორც **წახ-იან-ი**, ისე **წას-იან-ი** და **წარ-იან-ი** (სილოგავა 1988: 490, 557). თუ კორექტურულ შეცდომასთან არ გვაქვს საქმე, მაშინ **წახიანი** წახანელისძის თავდაპირველი, უფრო არქაული ვარიანტი იქნება. ამ გვარს სამცხე-საათაბაგოში რედუცირებული ფორმაც (**წახ-ნ-**

**ელ-ი**) ჰქონია (შდრ. ტოპონიმები: **წახნისწყალი, წახნისწყარო / წახნიწარო / წახანწორა**, ჯიქია 1958: 93, 168-173).

ვფიქრობთ, რომ საანალიზო ქართული **წახ**- ძირის კანონზომიერი ფონემატური შესატყვისი უნდა იყოს წარმოდგენილი თანამედროვე სვანურ ძირში **ქეხ**-, რომელიც გამოიყენება ისტორიულ გვარში **ქეხ-ან** (არც ისე დიდი რაოდენობით დღესაც რომ ცხოვრობენ ზემო სვანეთის სოფელ მულახში, აგრეთვე, თბილისში).

ერთი ძველი ხალხური სიმღერის (მეთხზიარ შერგელაძე) ტექსტში ეს გვარი შვიდჯერ გვხვდება სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმებით და შვიდჯერვე **კაახან** გვაქვს (სვ. პოეზია 1939: 52-56), ხოლო **აი > ე** ჩვეულებრივი მოვლენაა სვანური ენის ფონოტაქტიკაში. **ქეხან** ვარიანტი უკვე არსებობდა XIX საუკუნის ბოლოს (ნიჟარაძე 2007: 282).

XVI-XVII-XVIII საუკუნეთა საგვარეულო მოსახსენებლებში არაერთხელაა დადასტურებული დიდებული ფეოდალი **ქეყან დადიშგელიანი / დაჩქელიანი** (სილოგავა 1986: 277-286). მაშასადამე, ამ შემთხვევაში **ქეყ-ან** (< **ქეხ-ან** < **კაახ-ან** < **წახ-ან**) ანთროპონიმია, რაც, აგრეთვე, უცხო არაა სხვადასხვა ენისთვის [დასავლეთ საქართველოში აბაშიძეთა ერთ ყმას ერქვა **ქობ-ონ-ა მიძიგური** (ქალბატონ ნინელი ჭოხონელიძის ცნობით), რომელიც სამეგრელოს სამთავროში შემავალი ტერიტორიიდან – სოფელ მათხოჯიდან იყო, ალბათ].

ლაშხეთში 1936 წელს ჩაწერილ სიმღერაში „გაურ-გავზე“ რუსეთის წინააღმდეგ სოფელ ხალდეს გასათავისუფლებლად მებრძოლ ერთ-ერთ გმირად დასახელებულია ვინმე **ქობან** (სვ. პოეზია 62: 7), რომელიც, ვფიქრობთ, **წახან** ფუძის ზანური ვარიანტი უნდა იყოს (თუ **ჯობ-ა-ა, ჯობ-ი-ა, ჯობ-ი-ან, ჯობ-ა-ძე**’ს არ უკავშირდება!). იგივე სიტუაცია გვესახება ქართულ გვარშიც **ქობ-ონ-ელ-ი-ძე**; შდრ. აგრეთვე, ტოპონიმები: **ქობ-ულდ** (სოფელი მესტიის რაიონში), **ქობ-ონ-ა** (სახნავი მიწის სახელწოდება ხობის მუნიციპალიტეტში) და **კახ-ათ-ი** (სოფელი ქობულეთთან ახლოს). ამ მონაცემებში თანხმოვანთა კანონზომიერი ფონემატურ შესატყვისობა ზუსტადაა დაცული, რაც ამოსავალია, არაერთი ქართველოლოგის აზრით. რაც შეეხება ხმოვნებს, იქ მეორეულ, შედარებით ახალი ქრონოლოგიური დონის ამსახველ მოვლენებთან უნდა გვქონდეს საქმე.

თავისთავად ცხადია, ზემოაღნიშნული მსჯელობის შემდეგ ვერ გავიზიარებთ ჩვენი ახალგაზრდა კოლეგის დ. შავიანიძის აზრს **ქობონელიძის ხონელიძიდან** მომდინარეობის შესახებ (2002: 227-228).



## როინ ყავრელიშვილი

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **წიგნი „არტაანი ოსმალურ საარქივო დოკუმენტაჟი“, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო**

მოხსენებაში აღწერილი და დახასიათებულია მ. თანერ ქოლოთუქის და ს. თალჰა საღლამის მიერ წიგნად გამოცემულ დოკუმენტთა კრებულში დაცული უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორიის კვლევისთვის საინტერესო დოკუმენტები. აღნიშნულ კრებული გამოქვეყნებულია სულ 69 დოკუმენტი. ლათინური ანბანით ტრანსლიტირებულ ყველა დოკუმენტს თან ახლავს ოსმალური პირი. დოკუმენტები მოიცავენ 1768-1920 წწ. პერიოდს.

1918 წლის 3 ივნისით დათარიღებული დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს იმ დროის ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრი თალაათ ფაშა, საგანგებოდ ეგზავნება ედირნეს ვილაეთის სამხარეო ადმინისტრაციას. დოკუმენტის შინაარსიდან ჩანს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის 3 მარტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და მისი მე-4 მუხლის შესაბამისად ყარსის, არტაანის და ბათუმის ვილაეთებში პლებისციტის მოსამზადებლად ოსმალეთის ხელისუფლებამ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება გადაწყვიტა. სწორედ ამ მიზნით, ედირნეს ვილაეთიდან სტამბოლში გამოძახებულ იქნენ მაღალი თანამდებობის პირები: პოლიციის კომისარი კადირ ეფენდი, პოლიციის გენერალი ჰუსეინ ჰუსნი ეფენდი და ასევე პოლიციის ოფიცერი ისმაილ ეფენდი. ისინი უნდა ჩასულიყვნენ აღნიშნულ სამ ვილაეთში და ჩატარებინათ ოსმალეთის სახელმწიფოს სასარგებლო აგიტაცია.

1818 წლის 5 სექტემბრის დოკუმენტი წარმოადგენს ოსმალეთის მეჯლისის 9 წევრის მიერ ხელმოწერილ გადაწყვეტილებას. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ისინი წარმოადგენენ იმ კომისიის წევრებს, ვისაც ბათუმის, ყარსის და არტაანის ვილაეთებში, ასევე ახალციხის, ახალქალაქის და სურმელის რაიონებში ადგილობრივი მმართველობის და სასასამართლო სისტემებისთვის კადრები უნდა შეერჩია.

14 სექტემბრის დოკუმენტი არის შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი ოსმალეთის სახელმწიფოს მეჯლისისადმი. დოკუმენტი არის ხუთ პუნქტიანი. მასში ბათუმის, ყარსის და არტაანის ვილაეთების გაერთიანებით ორი ვილაეთის – ბათუმის და ყარსის შექმნის პროექტია წარმოდგენილი.

## მარიამ ჩაჩიბაია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### სირიულენოვანი ქრისტიანები და ისლამი

სირიელი მკვლევრები, რომელთა არაბულისა და ადრეული ხანის ისლამის ცოდნა შეესაბამება ამ სფეროში კომპარატიული კვლევის მოთხოვნებს, ცოტანი არიან (მაგრამ ეს არ გულისხმობს VIII-XIII სს-ის აღმოსავლური ეკლესიების სირიულენოვან მწერლებს, რომლებიც ისლამის სამყაროში ცხოვრობდნენ). მათ ყურადღების მიღმა დატოვეს არა მხოლოდ ისლამის წარმოშობის მიზეზები, არამედ რიგი შესანიშნავი ნაშრომებისა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქრისტიანული რწმენის დაცვას მუსლიმთაგან მომდინარე რელიგიური გამოწვევებისაგან და ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ისლამის სარწმუნოებაზე მოქცევის ტალღისთვის. პოლემიკური თხზულებების შესწავლა ცხადყოფს, თუ როგორ შეხვდნენ სირიულენოვანი ქრისტიანები ისლამის გამოწვევას, სავარაუდოდ, ადრე მერვე საუკუნეში.

VIII საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ახალი ისლამური სახელმწიფოს სრული პოლიტიკური და სოციალური კონსოლიდაციისათვის. ამის შედეგად ზეწოლა ისლამის სარწმუნოებაზე მოქცევის გამო გამანადგურებელი გახდა სოციალურად დაწინაურებულთათვის ქრისტიანულ გაერთიანებებში.

საქმის ამგვარი ვითარება კარგად ჩანს ადრე ისლამური ხანის სირიელი მწერლების საპასუხო პოლემიკური თხზულებებიდან. მემატინეები ასახავდნენ ქრონიკებში არაბთა დაპყრობებსა და სამხედრო ოკუპაციას და გამოთქვამდნენ მოსაზრებებს ისლამის წარმოშობისა და ძირითადი დოქტრინის შესახებ. მქადაგებლები, ეპისტოლოგრაფები და ბიბლიის კომენტატორები, როგორც ჩანს, ისლამის მოძღვრების მათთვის საგულისხმო საკითხებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ზოგიერთი მწერალი თხზავდა აპოკალიფსურ ტრაქტატებს, რომლებშიც ცდილობდა, განემარტა ისლამის ჰეგემონური როლი დანიელის წინასწარმეტყველებათა ტრადიციული ქრისტიანული საკითხავების მიხედვით. ხოლო ზოგიერთი მოწინააღმდეგე წერდა აპოლოგეტიკური და პოლემიკური ხასიათის ტრაქტატებს სირიულად, რომელიც ეძღვნებოდა ქრისტიანთა და მუსლიმთა არგუმენტებს სარწმუნოების შესახებ.

ადრეული ხანის სირიელი მწერლები წერდნენ აპოკალიფსურ სტილში, ამგვარი, საკმაოდ კარგად ცნობილი შრომა არის ფსევდო-მეთოდეს აპოკალიფსი, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა სირიულ ენაზე, ხოლო შემდეგ ითარგმნა ბერძნულად და ლათინურად. აპოკალიფსური ეგზეგეზის სფეროს გარდა, ისლამის წნეხი ასევე ძალას ატანდა ქრისტიან მწერლებს, სისტემაში მოეყვანათ და მოკლე, დაწურული ფორმით გადმოეცათ წმიდა წერილის საკუთარი, ტრადიციული ეგზეგეზა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აღმოსავლეთის ასურული ეკლესიის ადრე VIII საუკუნის მწიგნობრის, თეოდორე ბარ კონის შესანიშნავი ნაშრომი. მან დაწერა თავისი ეკლესიის დოქტრინის შესახებ შემაჯამებელი შრომა ბიბლიის ვრცელი კომენტარების სახით – ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა – და უწოდა მას Scholion, ვინაიდან, ის არის Scholia-ს ანუ კომენტარების სახით წარმოდგენილი, რისთვისაც შერჩეულია რთული ფრაგმენტები ბიბლიის რამდენიმე წიგნიდან. შრომა ასევე მოიცავს, ფაქტობრივად, მთელი რიგი ფილოსოფიური ტერმინების განმარტებებს, რომელიც აუცილებელია ეკლესიის დოქტრინისა და რწმენის სიმბოლოს სწორი გაგებისათვის.

## მარიკა ჭიქია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### წიგნითელი და სხვა

ქართული ენისა და განსაკუთრებით მისი დიალექტების კვლევისას გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: რიგ ისტორიულ ვითარებათა გამო ქართული ენის ორ სეგმენტს – ინგილოურსა და იმერხეულს – განვითარება უხდებოდა ერთმანეთთან ახლო მდგომი აზერბაიჯანულისა და ანატოლიური თურქულის გარემოცვაში. ისმის საკითხი: ეროვნული მასალა (ერთი მხრივ, ინგილოური, მეორე მხრივ – იმერხეული, ტაოური, მაჭახლური თუ ჩვენებურების მეტყველება) ამ ორი თურქული ენის როგორ გავლენას განიცდის – რამდენადმე ერთნაირს თუ დიდად განსხვავებულს? როგორც ჰერელები, ისე დასავლელები უპრობლემოდ წარმოთქვამენ ო-სა და ო-ს; ფუძეთანხმონიანმა სახელებმა სახელობითის -ი ფორმანტი ვერ შეინარჩუნეს; ენათა ზემოქმედების არე უპირატესად ლექსიკაა, თუმცა თურქულ გარემოში მოქცეულ ქართულ დიალექტებში დასტურდება თითო-ოროლა თურქული გრამატიკული მოდელი:

ინგილოები ინტენსივს აზერბაიჯანული მოდელით აწარმოებენ: წი-მ-წითელი, ფე-მ-ფეხშოლა, უ-მ-უმარილო, კო-მ-კოხე, ცა-მ-ცარიელი და სხვ.

იმერხეველებთან, ტაოელებთან, ნიგალელებსა თუ მაჭახელას მკვიდრებთან ამგვარი წარმოება არ შეგვხვედრია;

ჩვენებურების მეტყველებაში ხშირია: აქში, მაქში, იქში, რაც კალკია თურქული burada/orada/ şurada-სი;

ეს არ გვხვდება ინგილოურში.

მოხსენებაში ამგვარ ფაქტებს წარმოვაჩინთ და მათ ახსნას შევეცდებით.